

**თავი IV**  
**საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება**

**მუხლი 10. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო**

განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო (-493 657.8) ათასი ლარის ოდენობით.

**მუხლი 11. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

1. განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება (-218 473.9) ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 144 190.4 ათასი ლარის ოდენობით.

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების ზრდა	2007 წლის ფაქტი	2008 წლის გეგმა	2009 წლის გეგმა
		315,324.9	654,065.6
ვალუტა და დეპოზიტები	87,739.7	0.0	0.0
სესხები	227,585.2	113,385.6	144,190.4
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	540,680.0	0.0

3. განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 362 664.3 ათასი ლარის ოდენობით.

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების კლება	2007 წლის ფაქტი	2008 წლის გეგმა	2009 წლის გეგმა
		171,203.2	324,477.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	302,077.0	296,573.3
სესხები	171,203.2	14,000.0	26,500.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	8,400.0	39,591.0

**მუხლი 12. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

1. განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 275 183.9 ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდა 466 531.2 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და უცხო ქვეყნების მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის

გამოსაყოფი გრძელვადიანი საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები 400 531.2 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო, მსოფლიო ბანკის გრძელვადიანი ბიუჯეტის მხარდამჭერი შეღავათიანი კრედიტი 66 000.0 ათასი ლარი.

ათას ლარებში

ვალდებულებების ზრდა	2007 წლის ფაქტი	2008 წლის გეგმა	2009 წლის გეგმა
	166,247.3	966,438.0	466,531.2
საგარეო	166,247.3	966,438.0	466,531.2
საშინაო	0.0	0.0	0.0

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და უცხო ქვეყნების მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოსაყოფი გრძელვადიანი საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები

ათას ლარებში

დასახელება	2007 წლის ფაქტი	2008 წლის გეგმა	2009 წლის გეგმა
მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის II პროექტი	2,604.8	5,000.0	0.0
რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი	0.0	0.0	12,280.0
სოციალური ინვესტიციების I პროექტი	69.2	0.0	0.0
სოციალური ინვესტიციების II პროექტი	4,875.8	0.0	0.0
ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტი	11,187.3	12,700.0	4,378.8
ფოთის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია	2,388.7	120.0	0.0
ქუთაისის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია	0.0	300.0	2,500.0
ქობულეთის წყალარინების რეაბილიტაციის პროექტი	0.0	30.0	2,760.0
ბორჯომ-ბაკურიანის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია	0.0	30.0	1,932.0
რუსთავის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია	0.0	30.0	0.0
ბათუმის ურბანული ტრანსპორტის პროექტი	0.0	0.0	5,300.0
მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი (აზიის განვითარების ბანკის)	0.0	3,000.0	14,100.0
სტრუქტურული რეფორმების მხარდამჭერი პროექტი	3,549.3	0.0	0.0
ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია – I ფაზა	1,213.1	7,284.2	18,914.8
ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია – II ფაზა	0.0	0.0	34,711.5
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია	0.0	0.0	1,366.1
თბილისის გზების რეაბილიტაციის პროექტი	0.0	10,000.0	28,000.0
გზების რეაბილიტაციის პროექტი	0.0	0.0	0.0

აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი I	18,627.4	13,800.1	3,760.0
აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი II	0.0	35,000.0	52,500.0
აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი III (სვენეთი-რიკოთი, რიკოთის გვირაბის რეაბილიტაცია)	0.0	0.0	74,900.0
შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი	18,934.3	2,500.0	56,000.0
ვაზიანი-გომბორი-თელავის გზის პროექტი	0.0	0.0	10,500.0
თბილისის აეროპორტის რადარით აღჭურვის პროექტი	0.0	0.0	10,787.0
ფოთის საზღვაო ნავსადგურის დამცავი მოლოს რეაბილიტაცია	6,083.8	4,200.0	0.0
მიწის კადასტრისა და რეგისტრაციის სისტემის ჩამოყალიბება – I პროექტი (მათ შორის, წინა წლებში შესრულებული სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა)	1,870.0	242.0	0.0
მიწის კადასტრისა და რეგისტრაციის სისტემის ჩამოყალიბება – II პროექტი (მათ შორის, წინა წლებში შესრულებული სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა)	291.7	82.0	0.0
საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი „ილია ჭავჭავაძე“	6,764.4	1,029.3	0.0
საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი – APL2	0.0	10,000.0	13,390.0
სტრუქტურული რეფორმების მხარდაჭერის პროექტის საავადმყოფოთა რესტრუქტურულიზაციის კომპონენტი	316.4	0.0	0.0
პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტი	4,576.4	4,520.0	12,633.1
ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების პროექტი (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპონენტი)	374.5	1,840.1	830.0
საბითუმო ბაზრის მხარდაჭერის პროექტი	10,495.0	3,500.0	4,548.0
ლაჯანურქესისა და ხრამქესის რეაბილიტაცია	3,025.4	980.3	0.0
ენერგომატარებლების ტრანზიტის ინსტიტუციური აღმშენებლობის პროექტი	2,479.2	2,631.0	0.0
რეგიონალური ელექტროქსელის რეაბილიტაცია – I პროექტი (ალავერდი)	321.6	9,400.0	7,254.0
ენერგოგამანაწილებელი სისტემის რეაბილიტაცია – I პროექტი	10,536.1	0.0	0.0
ელექტრომომარაგების სექტორული პროგრამა	1,470.4	2,300.0	4,996.0
ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტი (EBRD)	12,122.7	6,240.0	2,300.0
სოფლის განვითარების პროექტი	1,771.6	6,000.0	14,320.0
სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტი	2,645.9	665.0	0.0
მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების განვითარების პროგრამა	0.0	2,000.0	4,000.0
ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების პროექტი (საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპონენტი)	85.0	714.0	1,570.0
სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პროექტი (მათ შორის, წინა წლებში შესრულებული სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა)	679.7	0.0	0.0
სატყეო სექტორის განვითარების პროექტი (მათ შორის, წინა წლებში შესრულებული სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა)	3,139.7	2,900.0	0.0
ჩინეთის მთავრობის ტექნიკურ-ეკონომიკური დახმარება	0.0	6,600.0	0.0
სულ	132,499.6	155,638.0	400,531.2

3. განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 191 347.3 ათასი ლარის ოდენობით.

ათას ლარებში

ვალდებულებების კლება	2007 წლის ფაქტი	2008 წლის გეგმა	2009 წლის გეგმა
		181,501.7	104,609.5
საგარეო	131,744.9	54,929.7	128,047.3
საშინაო	49,756.8	49,679.8	63,300.0

### მუხლი 13. საქართველოს სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა

განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა 2009 წლის ბოლოსათვის არა უმეტეს 6 014.3 მლნ ლარისა, მათ შორის სახელმწიფო საგარეო ვალის – 4 591.4 მლნ ლარისა, ხოლო სახელმწიფო საშინაო ვალის - 1 422.9 მლნ ლარისა.

მლნ ლარებში

	კრედიტორი	ვალის ნაშთი 2009 წლის ბოლოსთვის
<b>საგარეო ვალის ზღვრული მოცულობა</b>		<b>4 591 .4*</b>
<b>მრავალმხრივი კრედიტორებისაგან:</b>		<b>2 829. 8</b>
1	მსოფლიო ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია	1 878.8
2	ევროგაერთიანება	50.9
3	სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი	25.2
4	საერთაშორისო სავალუტო ფონდი (მიმღები – საქართველოს ეროვნული ბანკი)	689.5
5	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი	55.7
6	აზიის განვითარების ბანკი	129.6
<b>ორმხრივი კრედიტორებისაგან</b>		<b>927.1</b>
1	ავსტრია	1.5
2	აზერბაიჯანი	23.6
3	თურქეთი	56.3
4	ირანი	18.5
5	რუსეთი	194.3
6	სომხეთი	28.2
7	უზბეკეთი	0.6
8	უკრაინა	0.5
9	ყაზახეთი	45.8
10	ჩინეთი	7.2
11	გერმანია	325.5
12	იაპონია	83.5
13	კუვეიტი	58.1
14	ნიდერლანდები	12.7
15	ამერიკა	59.9

17	საფრანგეთი	10.8
	<b>სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტები</b>	<b>9.5</b>
1	გერმანია	5.8
2	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი	3.7
	<b>სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით წარმოქმნილი ვალდებულება</b>	<b>825.0</b>
	<b>სულ საშინაო ვალის ზღვრული მოცულობა</b>	<b>1 422.9</b>
1	საქართველოს ეროვნული ბანკისათვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია	640.8
2	სხვადასხვა ვადის სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისათვის	107.0
3	ე.წ. „ისტორიული ვალები“**	675.1
	<b>სულ სახელმწიფო ვალის ზღვრული მოცულობა</b>	<b>6 014.3</b>

შენიშვნა: \* – საგარეო ვალის ზღვრული მოცულობა გაანგარიშებულია გაცვლით კურსზე 1 აშშ დოლარი – 1.65 ლარი  
 \*\* – საორიენტაციო მოცულობა